**სახელოვანო ვეტერანებო! ახალგაზრდობის დამრიგებლებო! აღზარდეთ ახალგაზრდა თაობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით!**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 80 (7391) 26 აპრილი, სამშაბათი. 1983 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ევროპაში უძლიერესი

## ფალავანი გახდა თეიმურაზ აფხაზავა

**უნგრეთის** დედაქალაქში დამთავრებულ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატში ქუთაისელმა თეიმურაზ აფხაზავამ („დინამო“, მწვრთნელი ი. ბობოხიძე) 82 კგ წონაში უძლიერესის ტიტული დაიმსახურა. საბჭოთა სპორტსმენთაგან კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვეს აგრეთვე, გ. ერმილოვმა (68 კგ, დონის როსტოვი), და ვიტებსკელმა ი. კანიგინმა (90). II ადგილები დაიკავეს ფერგანელმა ვ. ანიკინმა (48) და ნოვოჩერკასკელმა ს. დიუდიაევმა (52). კიროველები ვ. ფომინი (57) და ა. ლიტვინოვი (62), კიეველი ვ. ავდიშევი (100) და მოსკოველი ე. არტიუხინი (მძიმე) III ადგილზე გავიდნენ.

დანარჩენ წონით კატეგორიებში პირველები იყვნენ ბულგარელი ათლეტები: ბ. ცენოვი (48), ე. ივანოვი (57), ქ. ვანგელოვი (62), ა. დიმიტროვი (100), და ნ. დინევი (მძიმე), უნგრელები ლ. რაცი (52) და ფ. კოჩიში (74).

გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდა სსრ კავშირის ნაკრები, მეორეზე — ბულგარეთის სპორტსმენები. (საკდესი).

• • •

**სურათზე:** თ. აფხაზავა ასპარეზობის შემდეგ.



## ხსოვნა გულისა

**23-24 აპრილს რესპუბლიკაში აღინიშნა ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის დღე**

### ცხრა ძმა ხერხეულიძის საფლავებთან

**შაჰ-აბასის** ურდოსთან მარაბდის ველზე 1625 წლის 1 ივლისს გადახდილ ომში ათი ათასამდე ქართველი დაეცა გმირულად. მათ შორის იყვნენ ძმები ხერხეულიძეები, რომელთა თავდადება მამულის თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა.

24 აპრილს, ახლობლებისა და ნათესავების ხსოვნის დღეს უამრავი ხალხი ეწვია მარაბდის გმირთა მემორიალურ კომპლექსს. აქ მოვიდნენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები, მწერლები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, თბილისისა და ახლო მდებარე რაიონების მკვიდრნი, ადამიანები, რომლებსაც სურდათ პატივი ეცათ გმირ წინაპართა ნათელ ხსოვნისთვის.

სოფელ მარაბდაში, სასაფლაოზე, სადაც დაკრძალულია ცხრა ძმა ხერხეულიძე, ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. თითქოს ეს-ესაა გმირები მოასვენესო, გაისმა გულისშემძვრელი სამგლოვიარო ჰიმნები. ცხრა ძმის საფლავს თავს დაადგა ცხრა ბედაური. პატარები, რომლებმაც ალბათ თავად სულ ახლახან გადმოაბიჯეს აკვნიდან, ცხრა აკვანს — საქართველოს უკვდავების სიმბოლოს ამოუდგნენ გვერდით. ეს იყო ჭეშმარიტად „სევდიანი სიხარულის დღე“, რომელიც ძნელია აიხსნას სიტყვებით.

მარაბდელები და სტუმრები განსაკუთრებულ მადლობას უხდიდნენ სახელმწიფო პრემიის ლაურეატს არქიტექტორ ვ. დავითაიას, ქვითხუროებს გ. ბარაბაძეს და ბ. ნოზაძეს, რომელთა უანგარო გარჯამ ასე უცვალა სახე გმირთა სავანეს. ვახტანგ დავითაიამ ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ წამოაყენა ხერხეულიძეთა საფლავების მოვლა-პატრონობის საკითხი. ახლა კი გვერდიდან არ მოცილებია რაიონის ხელმძღვანელებს და ოსტატებს, რათა ბოლომდე განეხორციელებინა ჩანაფიქრი.

მიტინგისა და კონცერტის დამთავრების შემდეგ ხალხმა იქვე სახელდახელოდ მოწყობილ საჭიდაო არენას მიაშურა, სადაც ალგეთის ხეობის სოფლების ვაჟკაცებმა ქართული ჭიდაობა გააჩაღეს. ცხრა ძმა ხერხეულიძის ხსოვნის პრიზი — ვერცხლის ხანჯალი გადაეცა კოდის საბჭოთა მეურნეობის მუშას გ. დავითაშვილს, რომელიც უძლიერესი იყო აბსოლუტურ პირველობაში.

კარგი იქნება თუ ხერხეულიძეთა ხსოვნის პრიზის გათამაშება ტრადიციად იქცევა და რაიონის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში შევა.

**ბ. გაჩეჩილაძე.**

### სოფლის ცენტრში, მემორიალთან...

**ნათესავებისა** და მეგობრების ხსოვნის აღსანიშნავი დღის დაწესებამ ყველა ქართველის გული შეძრა — ეს არის უაღრესად ჰუმანური გადაწყვეტილება, რომელიც მთელი თავისი შინაარსით ესადაგება დღევანდელობას.

23 აპრილი. სოფლის ცენტრში ახლახან მოწყობილ მემორიალთან იკრიბებიან ზეღდულეთელები, ახალსოფლელები, სობისელები, ახლომახლო სოფლების მშრომელები, სტუმრები რაიონული ცენტრიდან. პირველ საათზე გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. ჯავახიშვილი ჭრის მემორიალის შესასვლელში გაბმულ წითელ ლენტს, იწყება მიტინგი...

მიტინგის მონაწილეებმა გადაინაცვლეს სპორტულ კომპლექსზე, რომელიც სწორედ იმ დღეს გადაეცა ექსპლოატაციაში. აქ გაიმართა სპორტული თამაშობანი ფეხბურთში, ფრენბურთში, ძალოსნობაში, სხვა სახეობებში. აქვე ჩატარდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს 1983 წლის გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. სარბიელზე გამოვიდნენ ქიწნისის, ფლავის, კარალეთის, ტყვიავის, ზერტის, მეფრინველეობის ფაბრიკისა და მასპინძელთა გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში საპრიზო ადგილები დაიკავეს ზერტის, ქიწნისის და ზეღდულეთელმა ფალავნებმა. კარგი ილეთები გვიჩვენეს ს. ქებაძემ, გ. ტიელიძემ, დ. მაისურაძემ, გ. ელიაშვილმა, ა. ბესტავაშვილმა, მ. გიგაურმა, ა. ქობლიანიძემ...

გამარჯვებულებს გადაეცათ „კოლმეურნის“ რაისაბჭოს გარდამავალი თასი და კოლმეურნეობის გამგეობის ფასიანი საჩუქრები.

**ი. თევდორაშვილი,**
**(„ლელოს“ საკ. კორ.).**
გორის რაიონი.

## გუშინწინ რიყეში კვლავ აჭყვიტინდა ზურნა, ახმაურდა დოლი, შეიკრა წრე და გაიმართა ჭიდაობა ჩვენი, ქართული

იხ. მე-4 გვ.

**ჩვენს მკითხველებს**

•

## ვეძიოთ და ვპოვოთ!

„**კულტურისა** და დასვენების პარკში ვსეირნობდი. უეცრად ძალის საზომ აპარატთან შეკრებილ კარგად მოზრდილ ჯგუფს წავაწყდი. დავინტერესდი, მივუახლოვდი და აი რას ვხედავ: ვილაც სამხედრომ — ნამდვილმა გოლიათმა, ნამდვილმა ლომმა, ხელში აიღო ურო და ისეთი ძალით დაარტყა ძალზომს, რომ მთლად ნაფოტებად აქცია იგი“.

ძველი თაობის ადამიანებს შეიძლება დღესაც ახსოვდეთ პოპულარული კინოფილმის „პირველი ხელთათმანის“ ერთ-ერთი გმირის — მოკრივეთა მწვრთნელის ივანე ვასილის ძე პრივალოვის (მის როლს შესანიშნავად ასრულებდა ცნობილი მსახიობი ვლადიმერ ვოლოდინი) ეს სიტყვები — „მთელი სიცოცხლე ველოდებოდი მას, სიზმარშიც მელანდებოდა. ვიცოდი, რომ სადღაც დადის ადამიანი, რომელიც სახელს გაუთქვამს ჩვენს სპორტს, ახალ ფურცელს ჩაწერს მის ისტორიაში...“

და აი, გოლიათი ნიკიტა კრუტიკოვი (მსახიობი ივანე პერევერზევი) კრივის სექციაში მოვიდა, გულმოდგინე წვრთნაში მიილია დღეები, წლები და ახალბედა ქვეყნის პირველი ხელთათმანი გახდა.

ცხადია, კინოეკრანზე მონაგონი სჭარბობდა, კომედიური მხარე, თუ გნებავთ, რომანტიულობაც, მაგრამ მთავარი დედააზრი მაინც ის იყო, რომ თუ ეძებ — გულმოდგინედ, დაუღალავად — მიაღწევ კიდეც საწადელს, იპოვნი მას, ვისაც ეძებ.

**ჩვენც გვინდა მოგიწოდოთ, მეგობრებო, ყველას — სპორტის მოყვარულებს თუ ფიზიკური კულტურის მუშაკებს, დიდსა თუ პატარას, ქალაქელსა თუ სოფლელს: მოდით, ყველგან გულდასმით ვეძებოთ იგი, ჩვენი გმირი. ვეძებოთ კუნთმაგარი (მომავალი მოჭიდავე, ძალოსანი თუ მოკრივე), ფეხმარდი (მძლეოსანი თუ ფეხბურთელი), ტანმაღალი (კალათბურთელი, ხელბურთელი თუ ფრენბურთელი), ვეძებოთ ნიჭიერი ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, ჩვენი სპორტის ხვალინდელი დღე, მისი მომავალი.**

ვიმედოვნებთ, რომ გამოგვეხმაურებით და ამთავითვე კონკრეტულ წინადადებებსა და „ჩემპიონობის კანდიდატებს“ შემოგვთავაზებთ, ნუ დაიზარებთ წერილის მოწერას — ეს ხომ ქართული სპორტის საკეთილდღეოდ, მისი მომავალი დიდი გამარჯვებებისათვისაა საჭირო.

**ველით თქვენს გამოხმაურებას, მეგობრებო!**




**ახლოვდება სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ფინალური სტარტები**

# ემზადებიან ტატამის ოსტატები

**ამას** წინათ ძიუდოს სასახლეში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ვარჯიშს დავესწარით. ვესაუბრეთ ნაკრების უფროს მწვრთნელს **დილარ ხაბულიანს.** საუბარი, ბუნებრივია, ჩვენი ძიუდოისტების სპარტაკიადისთვის მზადებას შეეხო.

— სპარტაკიადისთვის მზადებას შარშან შევუდექით. უკვე ტიტულოვან და გამოცდილ სპორტსმენებთან ერთად გუნდში მოვიწვიეთ ახალგაზრდა, პერსპექტიული მოჭიდავეები. ნაკრების თითოეული წევრისათვის შევადგინეთ მრავალციკლიანი ინდივიდუალური გეგმა — მიზანი ჩვენ სპორტსმენთა საუკეთესო ფორმაში ყოფნაა სასპარტაკიადო ტურნირისათვის. საქართველოს ნაკრების ძალთა შემოწმების ერთ-ერთი ეტაპი იყო თბილისის საერთაშორისო ტურნირი. ტურნირის შედეგები დამაკმაყოფილებლად მიგვაჩნია. ცალკეულ წონით კატეგორიებში ნათლად ჩანს პროგრესი, მაგრამ ჩვენ ეს დამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს, სპარტაკიადაზე კონკურენცია გაცილებით მძაფრი იქნება.

ახლახან დავბრუნდით კისლოვოდსკიდან, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად გავიარეთ საწვრთნელი შეკრება. კისლოვოდსკში შემოგვიერთდნენ გოგოლაური, ნამგალაური, ხაბარელი, ბოდაველი და ხუბულური, რომლებიც ქვეყნის ნაკრებში არიან მიწვეულნი. ამგვარი ერთობლივი შეკრებები ქართველი ძიუდოისტებისთვის მეტად სასარგებლო და ნაყოფიერია. ეს საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ ქვეყნის მოწინავე ძიუდოისტთა წვრთნის მეთოდიკას, ჩვენს ახალგაზრდა მოჭიდავეებს მოვუწყოთ სპარინგ-შეხვედრები გამოცდილ მეტოქეებთან. ახლა შევეცდები წონითი კატეგორიების მიხედვით გაგაცნოთ, თუ რა სიტუაციაა ამჟამად ნაკრებში, რა შედეგს მოველით ამა თუ იმ სპორტსმენისაგან.

60 კგ-მდე წონით კატეგორიაში სპარტაკიადაზე მონაწილეობას არ მივიღებთ. ამ წონაში ძლიერი მოჭიდავე არ გვყავს.

65 კგ-მდე წონით კატეგორიაში ნაკრების შემადგენლობაში შევიყვანეთ ახალგაზრდა ტრისტან ბაშარული (მწვრთნელი ვ. ლაზრიშვილი). გამოუცდელობის გამო სპარტაკიადაზე მას ძლიერ გაუჭირდება და ამიტომ ვფიქრობთ ამ წონაში შედარებით ძლიერი რამაზ მარგველანის (ა. მარგველანი) გადმოყვანას. იმედი გვაქვს, რომ მარგველანი საპრიზო ადგილის მოპოვებას შესძლებს. 71 კგ-მდე წონით კატეგორიაში ბრძოლა ძალზე მძაფრი იქნება. ლატვიელ გორიჩევთან, ბელორუს დუგინთან, მოსკოველ მარაევსა და რსფსრ-ს წარმომადგენელ პარჩიევთან ერთად იასპარეზებენ გია გოგოლაური (ს. ფეიქრიშვილი) და თამაზ ნამგალაური (ა. მარტყოფლიშვილი). როგორც იცით, თითოეულ რესპუბლიკას უფლება აქვს რომელიმე წონაში გამოიყვანოს 2 მოჭიდავე. ჩვენ ეს წონა ავირჩიეთ და, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ალბათ აქ ფინალი „სუფთა" ქართული იქნება.

78 კგ-მდე წონითი კატეგორია ორი ღირსეული კანდიდატითაა წარმოდგენილი: ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი და თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული თამაზ კარიაული (ორივეს ჯ. ნათელაშვილი წვრთნის). შოთას თბილისის ტურნირში არ მიუღია მონაწილეობა ტრავმის გამო. ეხლა კი, მისი მწვრთნელის, ნათელაშვილის თქმით, იგი თანდათანობით იღდგენს ფორმას და შეეცდება მაისის შუა რიცხვებისათვის ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთში წარმატებით იასპარეზოს.



86 კგ-მდე წონით კატეგორიაში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას დაიცავს დავით ბოდაველი (ს. ფეიქრიშვილი). იგი დიდი ხანია გულმოდგინედ ემზადება სასპარტაკიადო ტურნირისთვის და იმედი გვაქვს, რომ სულ ცოტა, საპრიზო სამეულში მაინც მოხვდება.

ქვემძიმე წონაში ძალიან ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი: თბილისის წლევანდელი ტურნირის გამარჯვებული ნესვეტაილოვი (რსფსრ), ძალზე პერსპექტიული მოჭიდავე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ჟიხარევი (უკრაინა), გამოცდილი მოსკოველი მოჭიდავე გურინი და შუროვი (რსფსრ). ამ წონაში კონკურენცია დიდი იქნება და ჩვენს თემურ ხუბულურს (გ. ზაუტაშვილი, გ. პაპიტაშვილი) გამარჯვებისთვის მთელი ძალების მობილიზება დასჭირდება.

მძიმე წონაში ძლიერი მოჭიდავე არა გვყავს. ამიტომ ვაპირებთ აქ ქვემძიმე წონის ძიუდოისტის მალხაზ ბერუაშვილის (ბ. მაზიაშვილი) გამოყვანას, რომელზეც გარკვეულ იმედებს ვამყარებთ. აბსოლუტურ წონით კატეგორიაში იასპარეზებს აკაკი კიბორძალიძე. ახალგაზრდა ფალავანს შერკინება მოუწევს ისეთ გამოცდილ ძიუდოისტებთან, როგორებიც არიან მოსკოველი ტიურინი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ვერიჩევი (რსფსრ), აგრეთვე რსფსრ-ს წარმომადგენელი ბექტაშევი. ბექტაშევს კიბორძალიძემ მოუგო თბილისში. ვერიჩევს კი ჩვენს ტურნირზე არ უასპარეზია. კიბორძალიძე და მისი მწვრთნელი ომარ მერაბიშვილი ბევრს და გულმოდგინედ მუშაობენ და ყველა ღონეს იხმარენ წარმატებისთვის.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ გუნდში მეგობრული და ჯანსაღი ატმოსფეროა გამეფებული, მწვრთნელთა საბჭომ, გ. პაპიტაშვილის, ფ. მარტყოფლიშვილის, ს. ფეიქრიშვილის, ს. მერაბიშვილის, გ. ზაუტაშვილის, ჯ. ნათელაშვილისა და დ. ხაბულიანის შემადგენლობით, ყველაფერი იღონა რათა ჩამოეყალიბებინა მიზანსწრაფული და მონოლითური კოლექტივი. საქართველოს სპორტკომიტეტის, რესპუბლიკის ჭიდაობის ფედერაციის დახმარებით ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ჩვენმა ძიუდოისტებმა წარმატებით იასპარეზონ საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე და გეგმით დასახულ საპრიზო სამეულში მოხვდნენ.

საუბარი ჩაიწერა
**კ. ახალგედაშვილმა.**

• • •

**გუშინ** საქართველოს ნაკრები 22 კაცის შემადგენლობით გაემგზავრა პოდოლსკში, სადაც სსრ კავშირის ნაკრების სხვა კანდიდატებთან ერთად გაივლის წვრთნას. როგორც ცნობილია, ქვეყნის ნაკრები ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც მაისის თვეში საფრანგეთში გაიმართება. პოდოლსკიდან ქართველი მოჭიდავეები კურსკში ჩავლენ. იქ, 5 მაისიდან საკავშირო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას.

● ქართული ჭიდაობა

# ზონალურ ტურნირებზე

**საქართველოს** VIII სპარტაკიადის ზონალურ შეჯიბრებას ქართულ ჭიდაობაში საგარეჯო მასპინძლობდა. საასპარეზოდ გამოვიდა 10 ქალაქისა და რაიონის 101 ფალავანი. ღონისძიებას რატომღაც თავი აარიდეს ლაგოდეხის, თეთრიწყაროსა და დმანისის წარმომადგენლებმა. ამ რაიონებში ქართულ ჭიდაობას კარგი ტრადიცია აქვს და მით უფრო საკვირველია ადგილობრივი სპორტკომიტეტების გულგრილობა.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ-მეორე ადგილებზე გავიდნენ და საქართველოს VIII სპარტაკიადის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: ი. ბასილაშვილმა (საგარეჯო), ი. ქავთარაშვილმა (ახმეტა), ზ. სირაძემ (ყვარელი), დ. ხატიაშვილმა (საგარეჯო), დ. მაირალოვმა (ყვარელი), გ. ოტიაშვილმა (საგარეჯო), მ. ფოთოლაშვილმა (თელავი), თ. მჭედლიშვილმა (ყვარელი), ნ. კაციაშვილმა, მ. მაისურაძემ (ორივე — თელავი), თ. შეთეკაურმა (ახმეტა), ვ. აზნაურაშვილმა (საგარეჯო), გ. ბაბულაშვილმა (თელავი), დ. დავითაშვილმა (ახმეტა), გ. ჯელაძემ (თელავი), გ. სპანდერაშვილმა (სიღნაღი).

**ს. მაისურაძე,**
**საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ქართულ ჭიდაობაში.**

• • •

**ანალოგიური** შეჯიბრება გაიმართა მცხეთაში. აქ სპარტაკიადის ფინალის საგზურებისთვის იბრძოდნენ ხაშურის, ქარელის, გორის, ბორჯომის, ბოგდანოვკის, კასპის, დუშეთისა და მცხეთის მოჭიდავეები. სამწუხაროდ, გუნდები არ გამოიყვანეს ახალციხის, ასპინძის, ადიგენისა და ახალქალაქის რაიონებმა. ვფიქრობთ, უპასუხისმგებლობის ამ ფაქტს უყურადღებოდ არ დატოვებენ შესაბამისი ორგანიზაციები.

მასპინძლებს ცდა არ დაუკლიათ შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის. აქტიური, ცეცხლოვანი ჭიდაობით თავი გამოიჩინეს ფალავნებმაც. მათ შორის მრავლად იყვნენ გამოცდილი სპორტსმენები. მაგალითად, უმჩატეს წონაში გამოდიოდა მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში გ. გიორგაძე, რომელიც კვლავ დაუბრუნდა აქტიურ სპორტს. მართალია, გიორგაძემ III ადგილი დაიკავა, მაგრამ პერსონალურად მიწვეულია ფინალში.

ამ ზონიდან რესპუბლიკის სპარტაკიადის ფინალში იასპარეზებენ: ე. თიგიშვილი, ზ. პავლიაშვილი (ორივე — მცხეთა), გ. გორგაძე (კასპი), ლ. ლაზარიაშვილი (ქარელი), რ. ცოციაშვილი (მცხეთა), დ. ლაფერაშვილი (კასპი), ე. მსხალაძე (ქარელი), შ. ძაგანიშვილი, ი. ობგაიძე (ორივე — მცხეთა), გ. დემეტრაშვილი (კასპი), ა. წიკლაური (მცხეთა), ჯ. კაპანაძე (ხაშური), დ. მეტრეველი (ხაშური), ბ. კასაბური (მცხეთა), ნ. ნუგზარიშვილი (კასპი) და ე. ელიაშვილი (ქარელი).

**თ. ქიქავა.**
**(„ლელოს" სპეც. კორ.).**

# რით ნარჩევებით სპარტაკიადაზე?

● კრივი

**დღეს** ეს საკითხი აღელვებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართული კრივის ღირსება, მისი შესანიშნავი წარსული. სპორტის ეს მეტად ვაჟკაცური სახეობა ხომ ყოველთვის იზიდავდა მაყურებელს. ვალში არც მოკრივეები რჩებოდნენ, ისინი მაღალტექნიკური და ოსტატური ბრძოლებით ხიბლავდნენ გულშემატკივრებს. მოკრივეთა ოსტატობასა და მაღალტექნიკურობაზე დღეს მართლაც ღირს ლაპარაკი, ვინაიდან სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე წარმატების იმედი მხოლოდ მაღალი კლასის სპორტსმენებს უნდა ჰქონდეთ. ჩვენი მოკრივეები კი ამ მხრივ გვარიანად, ორივე ფეხით მოიკოჭლებენ. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ამ დღეებში ქუთაისის რინგზე გამართულმა რესპუბლიკის VIII საზაფხულო სპარტაკიადის ორთაბრძოლებმა. შეჯიბრებას ვერც მასობრიობას და ვერც ორგანიზებულობას ვერ დაუწუნებდა კაცი. ექვსი დღის განმავლობაში სარბიელზე საქართველოს 12 ქალაქის 110 წარმომადგენელი გამოვიდა. ასეთი ვრცელი გეოგრაფია ბევრ წამყვან რესპუბლიკასაც შეშურდება. მაგრამ, რაც მთავარია, თვით ბრძოლების ხარისხი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თავად განსაჯეთ: 89 ბრძოლიდან 25 შედეგის გამოუცხადებლად დამთავრდა, ე. ი. მოუმზადებლობის გამო მოკრივეები მსაჯმა მოხსნა რინგიდან, 29 სპორტსმენი კი საკუთარმა სეკუნდანტმა ისევ და ისევ მოუმზადებლობის გამო მოხსნა შეჯიბრებიდან სრული კაპიტულაციით, რომელიც კრივში რინგზე პირსახოცის გადმოგდებით გამოიხატება! ეს უარყოფითი მაჩვენებელი სარეკორდოა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებისათვის და იმაზე მიანიშნებს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ამ მეტად რთული სახეობის ბედი შემთხვევითი ხალხის, ვაიმწვრთნელების ხელშია მოხვედრილი. როცა ამას ვამბობთ, კარგად გვესმის ისიც, რომ ამით ცუდ სამსახურს ვუწევთ კრივს, რადგან მარტო თქმით საქმე არ კეთდება, მაგრამ „ზოგჯერ თქმა სჯობს". ჩვენი აზრით დროა გადახალისდეს კრივის სექციის მწვრთნელთა კონტიგენტი, შემოწმდეს იმ მწვრთნელთა პროფესიული დონე, რომელთაც ჩვენ ახალგაზრდების აღზრდას ვანდობთ, დავადგინოთ აქვთ თუ არა მათ უფლება იმუშაონ მოკრივეებთან.

ჩემპიონის წოდებები წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს: ი. გაიბოლიევმა, ს. ბულგადარიანმა (ორივე — სამხრეთ ოსეთის ოლქი), ბ. სამხარაძემ (თბილისი), მ. სუთიძემ (ქუთაისი), ს. სარქისიანმა (რუსთავი), დ. უსუფიანმა (თბილისი), ი. გოგოლაძემ (ჭიათურა), უ. არისტაკისიანმა (ქუთაისი), გ. ვაშაძემ, გ. შუშანიანმა (ორივე — თბილისი), მ. შალამბერიძემ (ქუთაისი) და ჯ. ქოჭოევმა (სამხრეთ ოსეთის ოლქი).

გუნდური პირველობა თბილისელ მოკრივეებს ხვდათ წილად, მეორე ადგილზე არიან ქუთაისელები, მესამეზე — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სპორტსმენები.

**უ. ჟიჟინაძე.**

● საოჯახო სპარტაკიადა

# დედა, მამა და მე...





**„შრომითი** რეზერვების" სადემონსტრაციო დარბაზი ხალხით არის სავსე. მაყურებელი ტაშით და შეძახილებით ამხნევებს ოჯახური სპარტაკიადის მონაწილეებს.

პარტიის თბილისის ლენინის სახელობის რაიკომის ოჯახური პრობლემების სექტორი, მშრომელთა ნებაყოფლობითი საზოგადოება წელს უკვე მეორედ აწყობს ოჯახურ სპარტაკიადას სახელწოდებით „დედა, მამა და მე — სპორტული ოჯახი". თებერვალში ჩატარებული პირველი ასეთი სპარტაკიადა სამრეწველო საწარმოების მუშაკთა ოჯახებს შორის გაიმართა, კვირას კი რაიონის პედაგოგთა ათი ოჯახი შეეჯიბრა ერთმანეთს.

კომპეტენტურ ჟიურის თავმჯდომარეობდა პარტიის ლენინის სახელობის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე იური ერმოლაევი, ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ ევროპის ჩემპიონი ბატუტზე ხტომაში ფატიმა ფირანიშვილი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ტყვიის სროლაში თემურ ლაკია.

სპარტაკიადის პროგრამაში იყო ოჯახური ესტაფეტა, მშობლების გადაჯვარედინებულ ხელებზე დამჯდარი ბავშვის სირბილით მიყვანა დანიშნულ ადგილამდე და უკან, ტომარაში ჩამჯდართა სირბილი, ბურთით გურზების წაქცევა, მაგიდის ჩოგბურთის ბურთის კოვზით ტარება და სხვა.

საინტერესო სპორტულ ვარჯიშებს შორის შესვენებისას თავიანთ ხელოვნებას უჩვენებდნენ რაიონის სკოლების მოსწავლეები, აკრობატები და ბატუტზე მხტომელები.

რვავე ვარჯიში ყველაზე სწრაფად, ნაკლები საჯარიმო ქულით შეასრულა მჭედლიძეების ოჯახმა (მე-13 საშუალო სკოლა), მეორე ადგილზე გამოვიდნენ მიასნიკოვები (113-ე საშუალო სკოლა), მესამეზე — ბუზიაშვილები (მე-10 საშუალო სკოლა).

**ნ. ჯოხარიძე.**

• • •

**სურათებზე:** მიმდინარეობს საოჯახო სპარტაკიადა.

ე. ხუცურაულის ფოტო.

## 83

**ბასულ** შაბათს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მეორე ტურის კალენდარული მატჩები.

**„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 4:1 (2:0)**

სამტრედიელ ფეხბურთელებს მეტოქედ ჰყავდა ლენინაკანელთა ძლიერი კოლექტივი. მასპინძლებმა სრული მობილიზებით, ენერგიულად ითამაშეს და სტუმრებს მატჩის ხსნის არავითარი შანსი არ დაუტოვეს. რამდენიმე სწრაფი იერიშის შემდეგ დანელიამ მიიღო ბაბუნიძის ზუსტი გადაცემა და მე-16 წუთზე გახსნა ანგარიში, 33-ე წუთზე კი დვალიშვილმა მეორედ აიღო „შირაკის“ კარი.

შესვენების შემდეგ ლენინაკანელებმა საპასუხო შეტევები განავითარეს, რასაც მნაცაკანიანის გოლიც მოჰყვა, მაგრამ შემდგომში „ლოკომოტივი“ კვლავ საფუძვლიანად დაეუფლა ინიციატივას, შენგელიამ და ბაბუნიძემ კიდევ ორი ბურთი გაიტანეს მეკარე მხითარიანის კარში — 4:1.

ამის შემდეგ ერთ-ერთი მცველის უხეში თამაშისთვის ბაქოელმა მსაჯმა ე. აზიმ-ზადემ მასპინძელთა კარში 11-მეტრიანი დანიშნა, მაგრამ აკიმიანმა მიზანს ააცილა დარტყმა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეთა პრიზები გადაეცათ ლენინაკანელ დ. მნაცაკანიანს და სამტრედიელ გ. შულაევს.

**ა. სირაძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

**„დინამო“ (ბათუმი) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 0:0**

სამტრედიაში განცდილი მარცხის შემდეგ სპარტაკელებმა ნამდვილი თავგანწირვით ითამაშეს ბათუმში და, თუმცა მასპინძლებს დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ მთელი თამაშის მსვლელობაში, შეძლეს ქულის აღება.

სტუმრების მეკარე ნერსესიანმა რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია პირველ წუთებზე, შემდეგ კარგი შესაძლებლობანი ვერ გამოიყენეს ჩელებაძემ, გორგილაძემ, ძელს მოხვდა იმავე გორგილაძისა და იაკოვლევის ძლიერი დარტყმები.

შესვენების შემდეგ ოქტემბერიანელებმა კიდევ უფრო გააძლიერს დაცვა და შეძლეს კარის უხიფათობის უზრუნველყოფა — 0:0.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ბალაძე, შანიძე (ნადერვაძე), კაკაბაძე, სვიმონიშვილი, გოგიტიძე, კედელაძე, მენაბდე (ქორიძე), იაკოვლევი, ჩელებაძე, გორგილაძე, გელაშვილი.

**ო. მურვანიძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

**ტურის სხვა შედეგები ასეთია: „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:0, „ოლიმპია“ (არტაშატი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:2, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „დინამო“ (სოხუმი) 3:1, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 0:0, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 4:0.**

## II ლიგა

### გათამაშების ცხრილი

**მეორე ლიგა, მეცხრე ზონა**

**მდგომარეობა 26 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხოზჩი“ | 2 | 2 | 0 | 0 | 6—0 | 4 |
| „ლოკომოტ.“ | 2 | 2 | 0 | 0 | 5—1 | 4 |
| „კოტაიკი“ | 2 | 2 | 0 | 0 | 2—0 | 4 |
| „ყარაბახი“ | 2 | 1 | 1 | 0 | 4—2 | 3 |
| „დინამო“ ბ. | 2 | 1 | 1 | 0 | 1—0 | 3 |
| „მერცხალი“ | 2 | 1 | 0 | 1 | 1—1 | 2 |
| „დინამო“ ს. | 2 | 1 | 0 | 1 | 2—3 | 2 |
| „კოლხეთი“ | 2 | 0 | 2 | 0 | 1—1 | 2 |
| „დილა“ | 1 | 0 | 1 | 0 | 1—1 | 1 |
| „ქიაფაზი“ | 1 | 0 | 1 | 0 | 1—1 | 1 |
| „მეშახტე“ | 2 | 0 | 1 | 1 | 2—3 | 1 |
| „ოლიმპია“ | 2 | 0 | 1 | 1 | 2—3 | 1 |
| „არაზი“ | 2 | 0 | 1 | 1 | 0—1 | 1 |
| „სპარტაკი“ | 2 | 0 | 1 | 1 | 0—1 | 1 |
| „ავტომობილ.“ | 1 | 0 | 0 | 1 | 0—2 | 0 |
| „შირაკი“ | 2 | 0 | 0 | 2 | 1—5 | 0 |
| „ხაზარი“ | 1 | 0 | 0 | 1 | 0—4 | 0 |

# პორტუგალიური ფეხბურთის აღორძინება

**პორტუგალიის** ნაკრების „ხვედრითი წონა“ ბოლო წლების მანძილზე ევროპულ ფეხბურთში მკვეთრად შემცირდა. გუნდი ვერც მსოფლიო ჩემპიონატების ფინალში ხვდებოდა, ვერც ევროპის პირველობის დასკვნით ნაწილში. ასეთ პირობებში ფეხბურთის მესვეურებმა მიმართეს იმ გამოსავალს, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ: ნაკრების სათავეში დააბრუნეს ცნობილი ბრაზილიელი სპეციალისტი ოტო გლორია.

ოტო გლორია დაიბადა 1917 წელს, თამაშობდა რიო-დე-ჟანეიროს „ვასკო და გამასა“ და „ბოტაფოგოში“, 1942 წლიდან წვრთნიდა იმავე „ვასკო და გამას“, რიო-დე-ჟანეიროს „ამერიკას“, 1954 წლიდან ცხოვრობს პორტუგალიაში, სადაც სათავეში ედგა სხვადასხვა კლუბს. შემდეგ იგი დაბრუნდა ისევ ბრაზილიაში, მუშაობდა საფრანგეთშიც, მაგრამ ფეხბურთის სამყაროში აღიარება ჰპოვა როგორც პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა. ეს გუნდი მან 1963 წელს ჩაიბარა, 1966 წელს ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში პორტუგალიელებმა მესამე ადგილი მოიპოვეს. არც მანამდე არც შემდეგ ასეთი წარმატება მათ არა ჰქონიათ. და, აი, ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ პორტუგალიაში ისევ გაიხსენეს გლორია და ნაკრებში 1982 წლის ზაფხულში დააბრუნეს.

გუნდი ერთბაშად გამოცოცხლდა. 22 სექტემბერს პორტუგალიელებმა ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩში ჰელსინკში დაამარცხეს ფინელები (2:0), შემდეგ ლისაბონში მოუგეს პოლონელებს (2:1) და 4 ქულით შესარჩევი ჯგუფის ლიდერები გახდნენ.

წლეულს პორტუგალიელებმა ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის გადამწყვეტი მატჩების წინ თავიანთ მინდორზე 3 საწვრთნელი შეხვედრა გამართეს. გიმარაეშში მათ მოულოდნელად დიდი ანგარიშით წააგეს ფრანგებთან — 0:3, შემდეგ ლისაბონში სძლიეს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს — გფრ-ის ნაკრებს — 1:0 (საყურადღებოა, რომ ამ შეხვედრაში მასპინძლები გამოდიოდნენ 7 წამყვანი მოთამაშის გარეშე) და ლისაბონში ფრედ ითამაშეს უნგრელებთან — 0:0.

ამ მატჩების შემდეგ ო. გლორიამ საბოლოოდ შეარჩია ნაკრების ბირთვი. აღსანიშნავია, რომ მსაჯებს ოქმში პორტუგალიელ ფეხბურთელთა ფსევდონიმები შეაქვთ ხოლმე. ისევე როგორც ბრაზილიელები, პორტუგალიის ნაკრების მოთამაშეებიც არა ნამდვილი, არამედ შერქმეული სახელებით არიან ცნობილი.

კარს უცვლელად იცავს ბენტო (მანუელ გატრინდო ბენტო). მას ნაკრებში დებიუტი 1976 წელს ჰქონდა და მას შემდეგ უკვე 42 მატჩი ჩაატარა. ბენტო თანაბარი წარმატებით თამაშობს კარშიც და წინ გამოსვლის დროსაც. იგი „ბენფიკას“ წევრია, დაიბადა 1948 წელს.

დაცვაში ყველაზე უფრო ცნობილია ჰუმბერტო (მანუელ ხესუს კოელჰო, „ბენფიკა“, 1950). მას ნაკრებში 63 მატჩი აქვს ჩატარებული (4 ბურთი). კიდევ ცოტა და ჰუმბერტო მოხსნის ეროვნულ ნაკრებში გამოსვლათა რეკორდს, რომელიც ეუსებიოს ეკუთვნის (65 მატჩი). უწინ ეს პოპულარული მცველი საფრანგეთის „პარი-სენ-ჟერმენში“ თამაშობდა, შარშან მონაწილეობა მიიღო ევროპისა და მსოფლიოს ნაკრები გუნდების მატჩში. ჰუმბერტო 1981 წელს პორტუგალიის № 1 ფეხბურთელად აღიარეს.

აი, სხვა მცველებიც: პიეტრა (მინერვინო ჟოზე პიეტრა), გამოდის „ბენფიკაში“, დაიბადა 1954 წელს, ნაკრებში 27 მატჩი გამართა და 1 გოლიც გაიტანა, ლოპესი (ანტონიო ჟოზე ბასტოს ლოპესი, „ბენფიკა“. 1953, 9 მატჩი ნაკრებში). გაბრიელი (გაბრიელ ასევედო მენდესი, „პორტო“, 1954, 19 მატჩი), ეურიკო (ეურიკო მონტეირო გომეში, ლისაბონის „სპორტინგი“ 1955, 20 მატჩი).

შუა ხაზზე უძლიერესად ითვლება საუკეთესო გამთამაშებელი ალვესი (ჟოაო ფერეირა, „ბენფიკა“, 1952, 35 მატჩი, 3 გოლი). უწინ იგი „პარი-სენ-ჟერმენსა“ (საფრანგეთი) და „სალამანკაში“ (ესპანეთი) გამოდიოდა. კარგ ოსტატებად ითვლებიან გომეში (ფერნანდო მენდეს სოარეში, „პორტო“, 1956, 18 მატჩი, 2 გოლი), კარლოს მანუელი (კარლოს მანუელ სანტოსი, „ბენფიკა“, 1958, 15 მატჩი, 1 ბურთი).

წინა ხაზზე ო. გლორიას ძირითადად ვეტერანები გამოჰყავს. ნენე (ტამანინი ბატისტა) უკვე 34 წლისაა, გამოდის „ბენფიკაში“, ნაკრებში 60 მატჩი ჩაატარა და 20 გოლი გაიტანა. ფერნანდესი (ჟულიო მანუელ ფერნანდესი, 31 წლის, ლისაბონის „სპორტინგი“, 12 მატჩი, 6 გოლი). კიდევ ერთი თავდამსხმელია შეუ (შეუ ჰანი, „ბენფიკა“, 1953, 18 მატჩი, 1 გოლი).

ერთი სიტყვით, ო. გლორიას არსებითად, ვეტერანთა ნაკრები ჰყავს, მაგრამ ასაკი მათ მაინცდამაინც არ ეტყობათ. როგორც ფინელებთან, ისე პოლონელებთან პორტუგალიის ნაკრებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა და გამარჯვებაც მას დარჩა.

**გ. გამრეკელი.**

# ოტო გლორია დარჩა

**ლისაბონში** გაიმართა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ახალი პრეზიდენტი სილვა რეზენდე.

პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა სხდომის შემდეგ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ცნობილი ბრაზილიელი სპეციალისტი ოტო გლორია კვლავინდებურად რჩება თავის პოსტზე.

როგორც ცნობილია, ო. გლორიამ ამ თვე-ნახევრის წინ პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციას განცხადებით მიმართა დაკავებული პოსტიდან განთავისუფლების თაობაზე. მოტივად მას მოჰყავდა ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელის ხშირი უთანხმოებანი კლუბების მწვრთნელებთან, ამ უკანასკნელთ არ სურთ გაათავისუფლონ თავიანთი ფეხბურთელები ნაკრების საწვრთნელ მეცადინეობებზე და საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობისთვის.

ო. გლორიამ ფედერაციის პასუხისმგებელ ხელმძღვანელთაგან მტკიცე გარანტია მიიღო, რომ მსგავსი ამბავი მომავალში არ გამეორდება და უკანვე წაიღო თავისი განცხადება გადადგომის შესახებ.

ეს აქცია პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტის თავისებური დებიუტი იყო. მან საჯაროდ განაცხადა, რომ ეროვნული ნაკრების ინტერესები ყველაზე მაღლა უნდა იდგეს, საჭიროა გუნდი საგანგებოდ მოემზადოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის სსრ კავშირის ნაკრებთან, რომელიც 27 აპრილს შედგება მოსკოვში. ს. რეზენდემ განაცხადა, რომ ყველა პრობლემას, რომლებიც კი წამოიჭრება პორტუგალიური ფეხბურთის წინაშე, მომავალში ერთობლივად გადაწყვეტენ ფედერაცია, კლუბების ხელმძღვანელები და ნაკრების მწვრთნელი.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ჟ. აველანჟის პრეს-კონფერენცია

**იუგოსლავიის** ფეხბურთის ფედერაციის მიწვევით ბელგრადში რამდენიმე დღით ჩავიდა ფიფა-ს პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი. მან გამართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც ილაპარაკა მსოფლიოს 1986 და 1990 წლების ჩემპიონატების პრობლემებზე.

მაისის დასაწყისში, განაცხადა პრეზიდენტმა, ევროპის ყველა ქვეყნის ფედერაცია მიიღებს ფიფა-ს წერილს იმ მოთხოვნათა ჩამოთვლით, რომლებიც აუცილებლად უნდა შეასრულოს 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელმა ქვეყანამ. კანდიდატურათა განხილვის შემდეგ ფიფა ამ ქვეყნებში გაგზავნის სპეციალურ კომისიებს, საბოლოო გადაწყვეტილებას მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის ჩატარების შესახებ მიიღებენ წლეულს დეკემბერში.

კითხვაზე, თუ სად გაიმართება, ბოლოსდაბოლოს მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატი, ჟ. აველანჟმა განაცხადა, რომ კანადასა და აშშ-ს თითქმის არავითარი შანსი არა აქვთ, თუმცა, მათი კანდიდატურები ოფიციალურად ჯერ არაა უარყოფილი. საქმე ის არის, რომ ამ ქვეყნებს არ გააჩნიათ 12 ისეთი საფეხბურთო სტადიონი, ფიფა-ს პირობებს რომ მთლიანად აკმაყოფილებდეს, რაც აქ მივლინებულმა სპეციალურმა კომისიამაც დაადგინა.

**ჟ. ავლანჟმა განაცხადა, რომ გაისად ფიფა აწყობს პირველ მსოფლიო ჩემპიონატს დახურულ დარბაზებში, 1985 წელს — მსოფლიო ჩემპიონატს 14-16 წლის ჭაბუკებისთვის და მსოფლიოს პირველ ჩემპიონატს ქალთა შორის.**

## მოკლედ

**საფრანგეთის** ქალაქ კლერმონ-ფერანში ერთმანეთს შეხვდნენ ამ ქვეყნისა და ბელგიის ოლიმპიური ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს ფრანგებმა — 2:0.

**საფრანგეთის** ეროვნულმა გუნდმა პარიზში მიიღო იუგოსლავიის ნაკრები და დიდი ანგარიშით დაამარცხა იგი — 4:0 (იუგოსლაველებმა ამ მატჩში ახალგაზრდული შემადგენლობა გამოიყვანეს). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ლერუმ, როშტომ (2) და ტურმა.

# „გაჭირვების ტალკვესი“

**ასე** ვეძახდით ფეხბურთელებიც და გულშემატკივრებიც ჩვენს ცნობილ ფეხბურთელს, თბილისის „დინამოსა“ და სხვა ძლიერი გუნდების მცველს გიორგი ჭუმბურიძეს. იგი მართლაც გაჭირვების ტალკვესი იყო: სადაც კი გაუჭირდებოდა ჩვენს გუნდს, როგორც კი სახიფათო მომენტი შეიქმნებოდა კართან, ჟორა იმწამსვე იქ გაჩნდებოდა, თავის დაზოგვა რა იყო არ იცოდა, უყოყმანოდ, თ ა ვ გ ა ნ წ ი რ ვ ი თ ჩაებმებოდა ყველაზე უფრო საშიშ სიტუაციაშიც კი და, როგორც წესი, იმარჯვებდა ხოლმე. ეს იყო სწრაფი, ალღოიანი, უტყუარი რეაქციის მქონე მცველი, რომელსაც არ აშინებდა არაფერი, არც მეტოქის ტიტულები, არც მისი სისწრაფე, ხოლო რაც შეეხება ძალისმიერ თამაშს, ამას გ. ჭუმბურიძის წინააღმდეგ ვერავინ გაბედავდა, ვინაიდან იგი ერთიანად დაკუნთული, ჩაკირული, მძლავრი კაცი იყო, „ხურდისა“ ყველას ეშინოდა.

სულ ახლახან გიორგი ჭუმბურიძეს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. რა თქმა უნდა, ახალგაზრდებს იგი არ ახსოვთ, ამიტომ ზედმეტი არ იქნება თუ ჩვენს საფეხბურთო საზოგადოებრიობას მოკლედ მოვუთხრობთ მის სპორტულ ბიოგრაფიას.

ბურთის თამაში გ. ჭუმბურიძემ ზესტაფონში დაიწყო და 1926-27 წლებში იქაურ ნაკრებში გამოდიოდა. მასთან ერთად თამაშობდნენ შემდგომში სათაყვანო მსახიობები ძმები ს. და ბ. ზაქარიაძეები, ა. მარუაშვილი და სხვანი. 1928 წელს გ. ჭუმბურიძე თბილისში გადმოვიდა და მაშინვე „სობოროს პლაცს“ მიაშურა რუსთაველის პროსპექტზე, სადაც მთელი დღე თამაშობდნენ ფეხბურთს. თავდაპირველად იგი ჩარიცხეს ვაჭრობის მუშაკთა კოლექტივში, ამ გუნდმა გამარჯვება მოიპოვა თბილისის პირველობის III კატეგორიაში და გადავიდა მეორეში. მომდევნო წელს გ. ჭუმბურიძე შევიდა თბილისის სამშენებლო-საარქიტექტურო ტექნიკუმში.

მწვრთნელებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ნიჭიერი ფეხბურთელი და მიიწვიეს II კატეგორიის გუნდში — „მუშკოოპში“, რომელიც მალე პირველ კატეგორიაში გადავიდა. აქ თამაშობდნენ ა. არსენიშვილი, შ. ფანჩულიძე, ა. ბაცალაძე, მ. ზუკაკიშვილი და სხვანი. მალე გ. ჭუმბურიძე ჩარიცხეს მაშინდელი სამომხმარებლო კოოპერაციის ძლიერ გუნდში, აქ გამოდიოდნენ ძმები ნესტორ და შალვა ჩხატარაშვილები, სერგო შუდრა, სერგო სიხარულიძე, გოგი აფრიდონიძე და სხვანი.

1935 წელს გ. ჭუმბურიძე სასწავლებლად შედის ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, აქაური გუნდი კი მაშინ ერთ-ერთი უძლიერესი იყო კავკასიაში. ინსტიტუტის გუნდში იმ ხანებში თამაშობდნენ იური კახრაძე, მიხეილ ბოლოტინი, მიხეილ მინაევი, კაკო ყალიჩავა, ვახტანგ რამიშვილი, ვლადიმერ ჯორბენაძე,



ვალენტინ კორსი და სხვანი. საინტერესოა, რომ ზიი-მ მოიპოვა საკავშირო ჩემპიონობა მძიმე ინდუსტრიის ინსტიტუტების სისტემაში, გამარჯვებულებს ჯილდოები გადასცა სახალხო კომისარმა ამხ. გ. ორჯონიკიძემ, ფეხბურთელები დაჯილდოვდნენ ველოსიპედებით, ხოლო ინსტიტუტი — სატვირთო ავტომანქანით.

1937 წელს თბილისის „დინამო“ უკვე ერთ-ერთი უძლიერესი იყო სსრ კავშირში და ინდუსტრიული ინსტიტუტიდან იქ მიიწვიეს რამდენიმე საუკეთესო ფეხბურთელი, მათ შორის გიორგი ჭუმბურიძეც.

გ. ჭუმბურიძე იხსენებს: „1937 წელს თბილისს ესტუმრა ბასკონიის ცნობილი ნაკრები, რომელმაც აქ ორი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარა „დინამოსთან“ და საქართველოს ნაკრებთან. მე ორივე მატჩი თავიდან ბოლომდე ვითამაშე, პრესის კარგი შეფასებაც დავიმსახურე. პერსონალურ დარაჯად ვედექი განთქმულ ფეხბურთელს გოროსტიცას. როგორც შემეძლო შევეცადე და გოროსტიცას ბურთზე ფეხი არ დავაკარებინე. ერთ-ერთ მომენტში, როცა მას კვლავ ავართვი ბურთი, გაგულისებულმა გოროსტიცამ... ხელი მომიქნია. ეს გოროსტიცა იყო, თორემ სხვას, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ამას არ ვაპატიებდი“.

შემდგომში გ. ჭუმბურიძე სამამულო ომში მონაწილეობდა, დაამთავრა ფეხბურთის მწვრთნელთა საკავშირო უმაღლესი კურსები. მუშაობდა მწვრთნელად როგორც საქართველოში, ისე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც, ავარჯიშებდა ნორჩ ფეხბურთელებს.

ხანდაზმული ვეტერანი ახლა ავადმყოფობს, მაგრამ სულით და გულით ფეხბურთთანაა, თვალყურს ადევნებს ტელე და რადიოგადაცემებს, პრესას, ყურადღებით აკვირდება თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“, აგრეთვე ჩვენი ჭაბუკების გამოსვლებს. ფეხბურთი იყო და დარჩა მისი ცხოვრების მთავარი გატაცება!

**ო. ჟორდანია,**
**საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯი.**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...









# დაუვიწყარი სახელები

ჭიდაობის მოყვარულთათვის ძვირფასი და დაუვიწყარია მათი სახელები, ვისი გამოსვლებიც ასე ხიბლავდა და აჯადოებდა ყველას. ვინც დღემდე ლეგენდად შემორჩა ჩვენს ისტორიას. ისინი ბევრნი არიან: კოსტა მაისურაძე და კულა გლდანელი, ნესტორ ესებუა და დავით ხიზამბარელი, შაშო ვერელი და ირაკლი ვაჩნაძე, სანდრო კანდელაკი, ბაბაჭუა და სხვანი. ამიტომაც მეტად სასიხარულო იყო ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის დღეებში მათი ხსოვნის ტურნირი რომ გამართა რიყის საჭიდაოზე „კოლმეურნეს“ რესპუბლიკურმა საბჭომ.

ასპარეზობა ჩვენგან წასული შესანიშნავი ფალავნების არსენ მეკოკიშვილის, კულა გლდანელის, სანდრო კანდელაკის, თედო ლილოელის (ავალიშვილი) და შალვა ნათელაშვილის ხსოვნას მიეძღვნა და სხვადასხვა წონით კატეგორიებში მათი სახელობის სპეციალური პრიზებიც გათამაშდა. აქ ერთმანეთს ეჯიბრებოდა საგარეჯოს, გარდაბნის, დუშეთის, ახმეტის, კასპისა და თბილისის კოლექტივების 45 მოჭიდავე.

...დღის 12 საათისათვის მეზურნეთა — გეურქ დურნუკელის (თეიმურაზოვი), დავით გოცირიძისა და სერგო ვართანოვის დასტამ, რომელიც უკვე მრავალი ათეული წელია პირნათლად ემსახურება ჩვენში ქართველ ფალავანთა ასპარეზობას, ზურნას ჩაჰბერა... და ბრძოლაც გაჩაღდა. ხალიჩაზე ერთმანეთს ცვლიდა დიდი და პატარა, ყველას ჰქონდა შესაძლებლობა სიჩაუქე და მოხერხებულობა ეჩვენებინა.

საბოლოოდ ა. მეკოკიშვილის პრიზი მოიპოვა — გ. ელბაქიძემ, ს. კანდელაკისა — ბ. ბახტაძემ, ლილოელისა — ზ. თარიმანაშვილმა, შ. ნათელაშვილისა — გ. შუბითიძემ.

ე. უნგიაძე.

* * *

სურათებზე: რიყის საჭიდაოზე.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## ალიკანტეში

ბუენოს-აირესში? — no

გუშინწინ ნ. ალექსანდრია — ტ. ლემაჩკოს მატჩში მეცხრე პარტია გათამაშდა. ალექსანდრიამ, რომელიც შავებით თამაშობდა, პარტია წააგო.

**ლემაჩკო — ალექსანდრია**

ახალინდური დაცვა

1. მf3 c5 2. c4 მf6 3. მc3 e6 4. g3 b6 5. კg2 კb7 6. 0—0 კe7 7. ეe1 d6 8. e4 a6 9. d4 c×d4 10. მ×d4 ლc7 11. კe3 0—0 12. f4 მbd7 13. ეc1 ეad8 14. g4 მc5 15. კf2 e5? 16. მf5 e×f4 17. b4 მc×e4 18. მ×e4 მ×e4 19. კ×e4 კ×e4 20. ე×e4 კf6 21. კh4 კ×h4 22. მ×h4 ეfe8 23. ე×e8+ ე×e8 24. მf5 ეe6 25. ლd4 f6 26. ლd5 ლf7 27. მ×d6. შავები დანებდნენ.

მატჩის ანგარიშია 5:4 ალექსანდრიას სასარგებლოდ.

GENS UNA SUMUS

**მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩი**

●

დასკვნითი, მეათე პარტია დღეს, 26 აპრილს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალური მატჩის საგზურის მოსაპოვებლად ალექსანდრიას ყაიმიც ყოფნის.

## საიუბილეო ჩემპიონატი

სსრ კავშირის საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატზე შაბათ-კვირას დამთავრდა რამდენიმე გადადებული პარტია და მოეწყო XV ტურის შეხვედრები.

გადადებულ პარტიებში კარპოვმა მოუგო ბელიავსკის, ტუკმაკოვმა — ვაჰანიანს, იუსუპოვმა — აგზამოვს და პოლუგაევსკიმ — ლერნერს.

XV ტურში მხოლოდ ორი შეხვედრა დამთავრდა. ბალაშოვმა დაამარცხა გელერი, ხოლო აზმაიფარაშვილი და რომანიშინი ყაიმზე შეთანხმდნენ. ხუთი პარტია გადაიდო. ამ დღეს არ თამაშობდნენ კარპოვი და ფსახისი.

15 ტურის შემდეგ ა. კარპოვს (მოსკოვი) 8,5 ქულა აქვს, ლ. პოლუგაევსკის (მოსკოვის ოლქი), ვ. ტუკმაკოვს (ოდესა) — 7,5-7,5 (1-1), ი. ბალაშოვს (მოსკოვი) — 7 (1), ლ. ფსახისს (კრასნოიარსკი) — 7, ტ. პეტროსიანს (მოსკოვი), ვ. მალანიუკს (სევასტოპოლი), რ. ვაჰანიანს (ერევანი) — 6-6 (1-1), ზ. აზმაიფარაშვილს — 6, ო. რომანიშინს — 5,5 (2), ა. ბელიავსკის (ორივე — ლვოვი), გ. აგზამოვს (ტაშკენტი) — 5-5-5,5 (1-1) და ა. შ.

ჩემპიონატის დასკვნითი ტური ხვალ, 27 აპრილს გაიმართება.

## ფინალში გავიდნენ

ცხაკაიაში დამთავრდა საქართველოს ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი, რომელშიც 18 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

I ადგილი დაიკავა ზ. ხვედელიძემ (სამტრედია) — 14,5 ქულა, II-III ადგილები გაიყვეს მ. ცხვედიანმა (ქუთაისი) და მ. ჩაჩიბაიამ (ცხაკაია) — 13,5-13,5. სამივე მოჭადრაკემ ფინალის საგზურები მოიპოვა.

წარმატებას მიაღწიეს ლ. ლეჟავამ (სამტრედია) — 13, ქ. გოგიამ (ცხაკაია) — 12,5, ს. მიშველიძემ (სოხუმი) — 10, ნ. ტაბატაძემ (ქუთაისი) — 9,5, ნ. ხიდაშელმა, ბ. მოსიაშვილმა (ორივე — რუსთავი), ი. სალდაძემ (ბათუმი) — 9-9.

ფინალური ტურნირი 5-25 ივნისს სამტრედიაში გაიმართება.

● ჩოგბურთი

## ტურნირი დამთავრდა, ტურნირი იწყება...

„დინამოს“ საჩოგბურთო კორტებზე დამთავრდა საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ლეჟავას ხსოვნისადმი მიძღვნილი XII ტრადიციული საკავშირო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის, რსფსრ-ისა და ქალაქების მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოს, ბათუმის, სოხუმისა და თბილისის უძლიერესი ჩოგბურთელები.

ერთეულ ვაჟთა თანრიგის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სპორტის ოსტატი ვ. ბაკში და საქართველოს სსრ VIII სპარტაკიადის გამარჯვებული გია ელერდაშვილი. გაიმარჯვა და მთავარი პრიზი დაიმსახურა ელერდაშვილმა, მესამე პრიზიორი გახდა ლენინგრადელი ს. ბელოვი.

ქალთა შორის მემორიალის ჩემპიონობა მოიპოვა კიეველმა ე. რიჟაკოვამ, რომელმაც ფინალში სძლია ბაქოელ ე. გიშიანს. მესამე საპრიზო ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ნაკრების წევრები მ. მალაციძე და ქ. პეტროსიანი. გაიმარჯვა მარინა მალაციძემ.

ქალთა წყვილებში უძლიერესები იყვნენ სტუმრები ე. გიშიანი და ე. მიკლოშჩევსკაია (მოსკოვი), II ადგილზე გავიდნენ მ. მალაციძე და ქ. პეტროსიანი, მესამეზე — ი. ანტონიანი და ზ. ფოცხვერია.

ვაჟთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, სსრ კავშირისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონის ქ. პუგაევისა და გია ელერდაშვილის დუეტმა.

პუგაევმა ავადმყოფობის შემდეგ ამ ტურნირში მხოლოდ წყვილთა თანრიგში იასპარეზა. მეორე ადგილი დაიკავეს ლენინგრადელმა სპორტსმენებმა ს. ვასილიევსკიმ და ს. ბუროვმა. „ბრინჯაო“ ვ. გაბრიჩიძესა და ვ. ბაკშის ხვდათ.

შერეულ წყვილთა თანრიგში მოასპარეზეთაგან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ე. გიშიანი და გელა ელერდაშვილი, მეორე ადგილი დაიკავეს ე. მიკლოშჩევსკაიამ და ს. ბელოვმა (ლენინგრადი).

ტურნირი სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის წინ ძალების ერთგვარი შემოწმება გახლდათ.

დამთავრდა ერთი ტურნირი და ესტაფეტა მიიღო იუნიორთა საერთაშორისო ტურნირმა, რომელიც ხვალ „დინამოსა“ და ჩოგბურთის სასახლის კორტებზე აიღებს სტარტს.

ა. მალაიანცი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## ტაშკენტის საერთაშორისო...

უზბეკეთის დედაქალაქში დამთავრდა იუნიორ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ 9 ქვეყნის სპორტსმენები.

გოგონათა შორის გაიმარჯვა ტაშკენტელმა ს. იურჩენკომ, რომელმაც ფინალში დაამარცხა მოსკოველი ო. ლიფანოვა — 6:2, 3:6, 6:2.

ვაჟთა შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისელი ვ. ხურდა და კიეველი ს. ბაკაი. გაიმარჯვა ბაკაიმ — 7:6, 6:1, სამაგიეროდ ხურდამ თანაქალაქელ ირინე მალაციძესთან შერეულ წყვილთა შეხვედრებში გამოიჩინა თავი. ჩვენმა ჩოგბურთელებმა ალმავლობით ჩაატარეს ტურნირი, გადამწყვეტი შეხვედრა მოუგეს პ. ტესარჟოვასა და ტ. ფორტს (ჩეხოსლოვაკია) და I ადგილი დაიკავეს.

● ველოსპორტი

## მედლები სიმფეროპოლიდან

სიმფეროპოლის ტრეკზე გაიმართა 1965-67 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა სსრ კავშირის პირველობა. წყვილთა რბოლაში ორდღიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ თბილისელი ჭაბუკები — დინამოელი გ. გოდუნოვი და განთიადელი ა. გეგენავა. ეს დუეტი სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ოქტომბერში, ახალ ზელანდიაში მსოფლიო პირველობაზე საბჭოთა სპორტის ღირსებას დაიცავს.

სპრინტერულ რბოლაში ვერცხლის მედალს დაეუფლა ო. მჭედლიშვილი („შრ. რეზ.“), რომელიც ფინალში ბოლომდე არ ჩამორჩენია მსოფლიოს ჩემპიონ მოსკოველ ნ. კოვშს. მსაჯთა კოლეგიამ მათ შორის გამარჯვებული მხოლოდ ფოტოფინიშით დაადგინა. კილომეტრიან გიტშიც იგივე სპორტსმენთა შორის გაჩაღდა ბრძოლა. „ვერცხლი“ აქაც ქართველ ველოსიპედისტს ერგო.

აქვე უნდა აღინიშნოს სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრების ა. სხირტლაძისა და დ. ტესლენკოს წარმატება, რომლებმაც 1967 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სხვადასხვა დისტანციებზე ასპარეზობაში მეოთხე ადგილები მოიპოვეს.

ორდღიანი დაძაბული ბრძოლის შედეგად ოლიმპიური მზადების ცენტრმა „იბერიამ“, რომელსაც სათავეში უდგას სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ფხაკაძე (გუნდი უშუალოდ სპორტის ოსტატებმა რ. კუპრეიშვილმა და თ. კიკნაძემ მოამზადეს), მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, გამარჯვება კი „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს კოლექტივს დარჩა.

# პანორამა

● ჰოკეი

გფრ-ის ქალაქებში გრძელდება ჰოკეისტთა 49-ე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.

შაბათს და კვირას საბჭოთა ჰოკეისტებმა ორი შეხვედრა გამართეს. ჯერ დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელები (5:1), შემდეგ სძლიეს იტალიელებს (11:1) და ევროპის ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი დღით ადრე გაინაღდეს კონტინენტის უძლიერესის სახელი.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: შვეცია — იტალია 5:1, ფინეთი — შვეცია 4:4, კანადა — გდრ 5:2, გფრ — ჩეხოსლოვაკია 3:3.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 25 აპრილისთვის

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 6 | 0 | 0 | 36—4 | 12 |
| შვეცია | 4 | 1 | 1 | 23—16 | 9 |
| კანადა | 4 | 0 | 2 | 23—15 | 8 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 1 | 2 | 19—15 | 7 |
| გფრ | 3 | 1 | 2 | 16—20 | 7 |
| ფინეთი | 1 | 1 | 4 | 16—22 | 3 |
| გდრ | 1 | 0 | 5 | 13—24 | 2 |
| იტალია | 0 | 0 | 6 | 5—35 | 0 |

● ტანვარჯიში

ლოს-ანჯელესი. სსრ კავშირისა და აშშ-ის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდების მატჩში, რომელიც კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტის სპორტკომპლექსის სარბიელზე გაიმართა, გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ვაჟთა გუნდების პაექრობა ასე დამთავრდა: 293,90:293,00, ქალებისა კი ასე: 194,15:192,45.

მრავალჭიდში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, 20 წლის ვლადიმირელი სტუდენტი იური კოროლიოვი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგა ამერიკელ ტანმოვარჯიშეების ლიდერთან პიტერ ვიდმართან ერთად — 58,95-58,95 ქულა, II შედეგი აჩვენა 16 წლის მოსკოველმა დ. ბელოზერჩევმა — 59, მესამე — ლვოველმა ს. მარცინკოვმა — 59,05.

ქალთა შორის უძლიერესი იყო როსტოველი ა. შიშოვა — 39,10. II ადგილზე გავიდა ნორჩი მოსკოველი ო. მოსტეპანოვა — 38,95. აშშ-ის გუნდში საუკეთესო იყო მ. დიუსერი, რომელმაც III ადგილი გაიყო ხარკოველ ა. მისნიკთან — 38,70-38,70.

● კალათბურთი

გფრ-ის ქალაქ ბრემერჰაფენში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ზედიზედ მესამედ გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მათ დაამარცხეს შვეციის (117:84), პოლონეთისა (94:67) და გფრ-ის (107:85) გუნდები და 6 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. II ადგილზე არიან გფრ-ის წარმომადგენლები (4 ქულა), III — შვეცია (2 ქულა). პოლონელებმა ყველა მატჩი წააგეს. ოთხივე გუნდი მაისის დამლევს საფრანგეთში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს.

● ტყვიის სროლა

მეხიკოში დამთავრდა ტყვიის მსროლელთა მე-12 საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ბ. ხუარესის სახელს ატარებს. მასში მონაწილეობდნენ მსოფლიოს ჩვიდმეტი ქვეყნის წარმომადგენლები. საბჭოთა სპორტსმენებმა ყველაზე მეტი — 15 ოქროს, 5 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 07543